საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1249

თბილისი „09“ 10 2019 წ.

„სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის №443 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (2018 წლის 5 ივლისი, №3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 3 ოქტომბრის №1329610 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის №443 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა (შემდეგში - სამინისტრო) და საავტორო უფლების მფლობელს შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ (შემდეგში - გრიფირების წესი) და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე/სერიაზე რეპროდუცირების, გადამუშავების, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემისა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების უფლების შესახებ ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების (შემდგომში - სალიცენზიო ხელშეკრულება) გაფორმების წესსა და პირობებს.
2. ეს წესი არ ვრცელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემდგომ, საავტორო უფლების მფლობელთან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში.
3. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების პირობები განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით.
4. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ გრიფირების წესით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 2. საავტორო ჰონორარი

თითოეულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე/სერიაზე საავტორო ჰონორარის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდეგში - მინისტრი) ბრძანების შესაბამისად, საავტორო უფლების მფლობელთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ინფორმაცია ფასდაკლების შესახებ

1. საავტორო უფლების მფლობელი, სამინისტროს მიერ განსაზღვრულ გარანტორს, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენს ინფორმაციას სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე ფასდაკლების ოდენობის (შემდგომში - ფასდაკლების ოდენობა) შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს გრიფირების თითოეულ განაცხადზე ინდივიდუალურად, შესაბამისი იდენტიფიკატორებით - საავტორო უფლების მფლობელის დასახელება, განაცხადის ID.
2. სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, გარანტორისათვის ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ჩაითვლება საავტორო უფლების მფლობელის მიერ ფასდაკლების შეთავაზებაზე უარის თქმად. შესაბამისი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში შერჩევის პროცესში მონაწილეობას მიიღებს ფასდაკლების გარეშე (0%-იანი ფასდაკლებით).

მუხლი 4. ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება

1. საავტორო უფლების მფლობელი და გარანტორი ვალდებულნი არიან დაიცვან ფასდაკლების ოდენობის კონფიდენციალობა გარანტორისთვის მისი გადაცემისას და შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში.
2. სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, გარანტორი, სამინისტროს მიერ მითითებულ დროს კონკრეტულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე/სერიაზე ასაჯაროებს ინფორმაციას ფასდაკლების ოდენობაზე.
3. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადიდან შეუძლებელია ფასდაკლების ოდენობის დადგენა, აღნიშნული გარემოება ჩაითვლება საავტორო უფლების მფლობელის მიერ ფასდაკლებაზე უარის თქმად და შესაბამისი განაცხადი შერჩევის პროცესში მონაწილეობას მიიღებს ფასდაკლების გარეშე (0%-იანი ფასდაკლებით).

მუხლი 5. სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობა

1. სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, სამინისტრო აფორმებს სალიცენზიო ხელშეკრულებას ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საავტორო უფლების მფლობელთან.
2. სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საავტორო უფლების მფლობელებს სამინისტრო განუსაზღვრავს ვადას სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდის (მოქმედი) შესახებ ინფორმაციის (მისამართი) წარმოსადგენად, რომელიც ეთითება სალიცენზიო ხელშეკრულებაში.

მუხლი 6. „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზნებისათვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების გამოვლენა

1. სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და ფასდაკლების ოდენობის გასაჯაროების შემდეგ, „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზნებისათვის, სამინისტრო ადგენს თითოეულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილ ქულას (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) და რეიტინგს ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.
2. თუ ერთ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ალტერნატივების რაოდენობა აღემატება 3-ს, სამინისტრო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებული სიიდან, „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზნებისათვის, შეარჩევს ყველაზე მაღალი ქულის არაუმეტეს 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე მაღალქულიანი სახელმძღვანელოების რაოდენობა, თანაბარი ქულების გამო სცდება ამ პუნქტით დადგენილ ლიმიტს, „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზნებისათვის შეირჩევა ყველა უმაღლესი ქულის და უმაღლესი თანაბარი ქულების მქონე სახელმძღვანელოები.
3. თუ ერთ საგანში/კლასში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ალტერნატივების რაოდენობა არ აღემატება სამინისტროს მიერ დადგენილ ლიმიტს, სახელმძღვანელოების/სერიების ფასისა და ხარისხის შეწონვისა და რანგირების მეთოდი აღარ გამოიყენება.
4. სამინისტრო ინფორმაციას „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზნებისათვის გამოვლენილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შესახებ წარუდგენს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

მუხლი 7. სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები

სალიცენზიო ხელშეკრულების პირობებია:
ა) მხარეთა რეკვიზიტები;
ბ) სალიცენზიო ხელშეკრულების საგანი;
გ) საავტორო ჰონორარის გადახდის წესი და პირობები;
დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
ე) მხარეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი;
ვ) სალიცენზიო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი;
ზ) სალიცენზიო ხელშეკრულების შეწყვეტის წესი;
თ) დავები და მათი გადაწყვეტის წესი;
ი) ხელშეკრულების მოქმედების პირობები.

დანართი N1

ფასისა და ხარისხის შეწონვის მეთოდი და რეიტინგი

1. ფასისა და ხარისხის შეწონვის მეთოდის გამოყენებით წარმოებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) დადგენა.
მეთოდი გულისხმობს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულისა (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) და ფასდაკლების შეწონვას, რა დროსაც სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულას (ხარისხი) აქვს 95%-იანი, ხოლო საავტორო უფლების მფლობელის მიერ გარანტორისთვის ამავე სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე წარდგენილ ფასდაკლებას - 5%-იანი წონა.
გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) დადგენა წარმოებს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

S=P*0.05+T*0.95, სადაც:

S არის განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა, ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში.
P არის წარდგენილი ფასდაკლების ოდენობა (0-100%-ის დიაპაზონში).
T არის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულა, ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში.

მაგალითად: თუ P=30%, ხოლო T=90% მაშინ S=30*0.05+90*0.95. შესაბამისად, განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) იქნება 87%.

2. შესარჩევი სახელმძღვანელოების რანგირება ხდება სახელმძღვანელოს/სერიის (განაცხადის) საბოლოო შეწონილი ქულით (ნორმალიზებული 0-100%-ის დიაპაზონში) მეტიდან ნაკლებისკენ.